4.

ფაკულტეტი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა – 058

მიმართულება: სოციალური მეცნიერებები – 07

საბაკალავრო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები
(International Relations)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
(Bachelor of Social Sciences in International Relations)

პროგრამის ხელმძღანელი: ვახტანგ მაისაია,პოლიტიკის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**საერთაშორისო ურთიერთობები** **(International Relationships)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში** **(Bachelor of Social Sciences in International Relations)**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის ან სხვა უმაღლესი საგანმაანთლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შესაბამისად შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა და ვადების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის მოცულობა კრედიტები	აკადემიური საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში–60 კრედიტს, სემესტრში–30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. პროგრამის 240 კრედიტიდან სპეციალობის (major) პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. იგი თავის მხრივ შედგება სპეციალობის სავალდებულო (125 კრედიტი) და ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულებისგან (55 კრედიტი); შეთავაზებული საგნებიდან სტუდნეტი ირჩევს მინიმუმ 55 კრედიტს, საგნები შეთავაზება ხდება მე-6-მე-8 სემესტრში, შედეგი ბლოკებიდან: 1. *<u>კონფლიქტოლოგია</u> - ამ მოდულის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხების შესწავლა როგორებიცაა*

	საერთაშორისო კონფლიქტების ტიპოლოგია, კონფლიქტის განვითარების ფაზები და მათი გადაწყვეტილებათა მიდგომები, ისევე როგორც მოლაპარაკებათა თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენების პრაქტიკა. ამავე დროს შესწავლილი იქნება კონფლიქტების მიმდინარეობებისას მათზე სპეციალური ფაქტორების გავლენის გარემოებები, მაგალითად, რელიგიური ფაქტორების; 2. ***<u>გლობალური უსაფრთხოება</u>*** *- აღნიშნული მოდულის მიხედვით ყურადღება გამახვილდება საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებზე და მთავარი გლობალური დონის აქტორების საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიის აქტუალურ ასპექტებზე (მაგალითად, აშშ-ს მაგალითზე). ამავე დროს ხაზი გაესმევა ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების მნიშვნელობას და გავლენას მსოფლიო პოლიტიკურ სისტემის სტაბილურობაზე (კერძოდ, ტერორიზმის ფენომენი);* 3. ***<u>სამართლი</u>****- ამ მოდულის მიხედვით განიხილება საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი ასპექტები და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების გავლენა გლობალური პოლიტიკის პროცესებზე. მოდულის ფარგლებში შესწავლილი იქნება სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები, ადამიანის უფლებათა დაცვის და ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პოსტულატები და მათი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე;* 4. ***<u>ევროკავშირი</u>****- მოცემული მოდული განიხილავს ევროკავშირის, როგორც გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი აქტორის მნიშვნელოვან გარემოებებს. მიმოხილულ იქნება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური და უსაფრთხოების სტრატეგიის რაობა (ე.წ. „პეტერსბეგის ამოცანების“ მაგალითზე) და მისი მიმართება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებთან, რაც ასე მნიშვნელოვანია და აქტუალურია საქართველოსთვის;* 5. ***<u>რეგიონათმცოდნეობა</u>*** *- მოდულის მთავარი დანიშნულებაა გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პროცესებზე (განხილული იქნება ისეთი ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური კურსი, როგორებიცაა საქართველო, თურქეთის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია) და რეგიონული გეოპოლიტიკის მნიშვნელობა, კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მოდელირების მაგალითზე საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებზე;* 6. ***<u>ზოგადი კურსის ფორმატში მოქმედებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოდულე მიმართულებაც</u>*** *- მოდულის ფორმატი ითვალისწინებს პოლიტიკური მოვლენებზე ისეთი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა პოლიტიკური კულტურა, კომუნიკაცია და გენდერი* დანარჩენი 60 კრედიტი მოიცავს საუნივერსიტეტო სავალდებულო– 30 კრედიტს და თავისუფალი კომპონენტების 30 კრედიტს (სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერ სასწავლო კურსი სუხიშვილის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებიდან).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მისიას მოამზადოს მოთხოვნადი, მაღალკონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრები საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. იგი მიზნად ისახავს: სტუდენტს მისცეს კვალიფიციური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების, მისი განვითარების ტენდენციებისა და პრობლემების შესახებ.

	საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების და თეორიების, პოლიტიკური რეჟიმების სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებების, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების, გლობალური და რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების შესწავლას. შესწავლილი იქნება სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტების, დიპლომატიური სამსახურების მოღვაწეობის თავისებურებები; უპირველესი მნიშვნელობა მიენიჭება ახალი დემოკრატიის ქვეყანაში პოლიტიკური ტრანზიციის თავისებურებების შესწავლას რეგიონალური პოლიტიკური პროცესების შედარებით ანალიზს. გააზრებული იქნება თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები, გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და ქართული სახელმწიფოს გლობალურ სივრცეში თვითდამკვიდრების თავისებურებები. არსებითი ყურადღება მიექცევა დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების სამართლებრივ ასპექტებს. პროგრამაში გათვალისწინებულია თანამედროვე ქართული საბაზრო სივრცის მოთხოვნები, რომელსაც ესაჭიროება რაციონალურად და პრაგმატულად მოაზროვნე სპეციალისტები. სწავლების პრიორიტეტული მიმართულება იქნება მიღებული თეორიული ცოდნის პოლიტიკურ დროსა და კონკრეტულ სიტუაციებში რაციონალურად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირება. უნივერსიტეტის სასწავლო სივრცესა და პირობებში პროგრამის მიზნები მიღწევადია. კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს, საქმიანობა სპეციალობის მიხედვით შეუძლია იმუშაოს სპეციალისტად საგარეო საქმეთა სამინისტროში, პარლამენტში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ადგილობრივ, რეგიონულ თუ რესპუბლიკური მასშტაბის მმართველობის ორგანოებში და ა. შ.
დასაქმების სფერო	დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურებში, პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობის სფეროებს წარმოადეგნს საერთაშორისო ურთიერთობები. ასევე ექსპერტად და მრჩევლად საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში; მათ შეეძლებათ იმუშაონ პოლიტიკური მართვის ორგანოებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში და სხვა.

სწავლის შედეგი	**სტუდენტმა უნდა იცოდეს შემდეგი:** – საერთაშორისო ურთიერთობების ცნებები, თეორიები, განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო პოლიტიკაში მოქმედი კანონზომიერებები; – საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსური ხასიათი; – ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებები; – გლობალიზაციის თანმხლები პროცესები და საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები; – საერთაშორისო პოლიტიკისა და რეჟიმების მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში; – საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტი თეორიები (რეალიზმი, იდეალიზმი, კონსტრუქტივიზმი, ლიბერალ-ინსტიტუციონალიზმი, კრიტიკული თეორიები და სხვა); – – აქვს ევროკავშირის, ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურების ფუნქციონირების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ცოდნა; – აცნობიერებს პატარა ქვეყნის გეოპოლიტიკურ ფუნქციას: – საქართველოს, როგორც პატარა სახელმწიფოს მნიშვნელობას და ადგილს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; – – ამას გარდა, სტუდენტს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის, სისტემისა და სტრუქტურის ცოდნა. კერძოდ მან: – – იცის დიპლომატიური მოლაპარაკებების სფეროში არსებული პრობლემები; – იცის საქართველოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრელი ძირითადი პრინციპები და ეროვნული ინტერესები; – იცის საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესების დინამიკა და მათი სათანადო მეთოდებით ანალიზის გაკეთება; – იცის გეოპოლიტიკური მოვლენების და გეოპოლიტიკური მოდელირების თავისებურებანი და ძალუძს მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე განახორციელოს გეოპოლიტიკური მოვლენების განვითარების პროგნოზირება და სავარაუდო სცენარების წარმოჩენა. – **II. ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ექნება შემდეგი სახის უნარი:** - საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კანონზომიერებებისა და ტენდენციების დახასიათება; გლობალური პოლიტიკური სივრცის ძირითადი აქტორების ტიპოლოგია და პრიორიტეტული ორიენტაციების გამოყოფა; ახალი მსოფლიო წესრიგის თავისებურებებისა და პარადიგმების სიტუაციური გააზრება და შედარებით-ფუნქციონალური სინთეზირება;

- საერთაშორისო სისტემებისა და რეჟიმების ფუნქციონალური პრობლემების შედარება, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური ტრანზიციის თავისებურებების გააზრება;

გლობალური პროცესების სიტუაციური ანალიზი და პრაგმატული ხასიათის მოდელერებისა და სცენარების წარმოდგენა;

თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუციური და ღირებულებითი კომპონენტების სიტუაციური ანალიზი;

თავისი ინდივიდუალური პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალის თვითდამკვიდრება და მოქალაქეობრივი კულტურის გამოვლენა.

- საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ტენდენციების გამოყოფის, ახალი მსოფლიო წესრიგის პრიორიტეტებისა და პარადიგმების გააზრების უნარი;

პრობლემათა სიტუაციური ანალიზისა და პრიორიტეტების შერჩევის უნარი გლობალური პოლიტიკის საკითხებში.

ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური ტრანზიციის ძირითადი პარადიგმების ჩამოყალიბების უნარი;

საერთაშორისო პოლიტიკური პროცესში მონაწილე აქტორთა ფუნქციონალური როლების შეფასების უნარი;პოლიტიკური პროცესების გაანალიზების კონტექსტში, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით არგუმენტირებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების უნარი;

- გლობალურ პრობლემათა ლოკალური გააზრების, პრაგმატული ხასიათის რეკომენდაციებისა და ანალიზის უნარი.

3. დასკვნის გაკეთების უნარი

სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- საერთაშორისო ურთიერთოებების სფეროში მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით. დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება
- კონკრეტული პოლიტიკური პროცესების გამოკვლევა და შეფასება;
- საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ და მიმდინარე სკითხებზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება და საკუთარი აზრის დაცვა

- რეკომენდაციების შედგენა, თანამიმდევრობით დალაგება; მიზნების ახლებურად ფორმულირება;

4.კომუნიკაციის უნარი

სტუდენტმა იცის შემდეგი:

- საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე ლიტერატურის კრიტიკულ-ანალიტიკური გადამუშავება ცალკეული, სამეცნიერო საკითხების შემოქმედებითი გააზრება, საჭირო ცნებებისა და ტერმინების განმარტება;
- მოვლენების სინთეზურად გააზრება, შედარებითი ანალიზი და კრიტიკულად შეისწავლოს და გადაამუშაოს ინფორმაცია და საჯარო სივრცეში გამართოს ცალკეულ პრობლემებზე დისკუსია;
- დიალოგის, დისკუსიისა და დებატების წარმართვა;
- ინფორმაციის გაცვლა ქართულ და უცხოურ ენებზე, თავისი თვალსაზრისის დაცვა და დაინტერესებული სტრუქტურებისადმი წარდგენა;
- ქართული სახელმწიფოს თვითდამკვიდრებისა და პოლიტიკური ტრანზიციის თავისებურებების წარმოჩენა და ახსნა;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, დროსა და სივრცეში აქტიური ინფორმაციის მიღება.

5. სწავლის უნარი

სტუდენტს შეუძლია:

- რაციონალურად გაიაზროს სასწავლო პროცესის პრიორიტეტული მიმართულებები, სიტუაციურად მოახდინოს თავისი სწავლის პროცესი
- რაციონალურად გაიაზროს სასწავლო პროცესის პრიორიტეტული მიმართულებები, სიტუაციურად მოახდინოს თავისი სწავლის პროცესის ტრანსფორმირება და შეუხამოს იგი აქტიურ ლოკალურ მოვლენებს.
- სწორად შეაფასოს თავისი პროფესიული პოტენციალის გამოყენებითი ასპექტები და შეუხამოს იგი ქართულ რეალობას;

  თანმიმდევრულად და მრავალმხრივად განავითაროს საკუთარი სწავლის პროცესი;
- დაადგინოს სწავლის საჭიროებები;
- დაგეგმოს შემდგომი პროფესიული ზრდის პროცესი;
- პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვების, პრობლემატიკის შერჩევისა და შესწავლის;

  - ახალი ინფორმაციის გადამუშავების, ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების.

6. ღირებულებები:

სტუდენტს შეუძლია:

- გლობალურ სივრცეში მიმდინარე ღირებულებითი ცვლილების შეფასება და მისი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- პოლიტიკურ სივრცეში დემოკრატიული ღირებულებების ფორმირებისა და ლოკალურ სიტუაციებში მის დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა;
- ეროვნული და გლობალური ღირებულებების გააზრება და ქართული სახელმწიფოებისთვის მისაღები პრიორიტეტების შერჩევა;
- პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში პოლიტიკური აქტორებისადმი ღირებულებითი პრიორიტეტების შერჩევასა

	და დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა; - საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში დამკვიდრებული ეთიკური და მორალური ნორმების დაცვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	სასწავლო უნივერსიტეტში მოქმდებს სტუდენტთა მიღწევების შეფასების 100-ქულიანი (100%) სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემას და უშვებს: ა) 5 დადებით შეფასებას: A (max შეფასების 91%-100%) - ფრიადი, B (max შეფასების 81%-90%) - ძალიან კარგი, C (max შეფასების 71%-80%) - კარგი,

	D (max შეფასების 61%-70%) - დამაკმაყოფილებელი, E (max შეფასების 51%-60%) - საკმარისი. პროგრამის კომპონენტის max დადებითი შეფასებაა 100 ქულა (max შეფასების 100%), ხოლო min დადე- ბითი შეფასება - 51 ქულა (max შეფასების 51%); ბ) 2 უარყოფით შეფასებას: Fx (max შეფასების 41-50%) - ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება, დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას/დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა); F (max შეფასების 40% და ნაკლები) - ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის კომპონენტის: შემაჯამებელი შეფასება – 100% (max. 100 ქულა) მათ შორის : შუალედური შეფასებები – 70% (max. 70 ქულა) დასკვნითი გამოცდა– 30% (max. 30 ქულა) მიმდინარე შეფასებები (max. 30 ქულა), რეფერატის/ნაშრომის მომზადება–პრეზენტაცია (max. 10 ქულა) და შუალედური გამოცდა (max. 30 ქულა). შეფასების სისტემაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი 30 ქულაა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გამოცდის ჩატარების მომენტისთვის აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური 30 ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა, ანუ შუალედური შეფასებებით სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 21 ქულა. შემაჯამებელი შეფასება: – 100 (max. ქულა) : შუალედური შეფასებები – 70 (max. ქულა), მათ შორის: შუალედური გამოცდა 30 (max. ქულა) მიმდინარე შეფასებები 40 (max. ქულა) ან 30 (max. ქულა) რეფერატი/ნაშრომი 0 (max. ქულა) 10 (max. ქულა) დასკვნითი გამოცდა – 30 (max. ქულა) სასწავლო კურსის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა, სტატუსი, სწავლების ენა, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა, მისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის შინაარსი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და რესურსები ასახულია სასწავლო კურსის პროგრამაში
სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები	**სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული იქნება სალექციო კურსების სპეციფიკურობა, რომლის შესაბამისად გამოყენებული იქნება ადექვატური მეთოდები. თემატიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტის ანალიტიკური და კრიტიკულ-სიტუაციური აზროვნების ფორმირებას, სადაც სინთეზირებული იქნება კონცეპტუალური გააზრების, კომპარატიული და თეორიული მოდელირების საკითხები.** **სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:**

1. **შედარებითი (კომპარატიული)**

კვლევის მეცნიერული მეთოდები შედარების გზით უზრუნველყოფს ზოგადი და თავისებურების დეფინაციას პოლიტიკური პროცესების ანალიზისას ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; შედარებითი მეთოდი უნივერსალური ხასიათისაა და გამოყენებულია უმრავლეს თემასთან მიმართებაში.

2. **დისკუსია/დებატები**

   ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ჩართულნი არიან დისკუსიაში, კამათობენ ცალკეულ საკითხებზე. სტუდენტები პროფესიასთან ერთად გამოთქვამენ თავიანთ დასკვნებს და გარკვეულ სიტუაციებში იცავენ თავის პოზიციას.

3. **ჯგუფური მუშაობა**

   სწავლება გულისხმობს სტუდენტთა დაყოფას ჯგუფებად და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას; ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშევებენ სასწავლო მასალას და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს; ასეთ სიტუაციებში შეიძლება ჯგუფში მოხდეს ფუნქციების განაწილება; სწავლების ასეთი მეთოდის პირობებში საკითხების კონცეპტუალური გააზრება მოითხოვს საგნობრივი მეთოდების გამოყენებას;

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)**

   სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას; პრობლემური სწავლებისას შერჩეული იქნება აქტიური საკითხი, რომლის კონცეპტუალური და გამოყენებითი ასპექტები მოცემულ დროში ძალზე მნიშვნელოვანია;

5. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება**

   სწავლების სტრატეგია ემყარება სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობას პრობლემების გააზრებას პროცესში; ჯგუფის წევრები ერთმანეთს უაზიარებენ ცოდნასა და საკუთარ თვალსაზრისს, რომლის პროცესშიც გამოითქმის ახალი იდეები და კონცეფციები;

6. **ევრისტიკული**

   ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას; ამ მეთოდის პირობებში სტუდენტები დამოუკიდებლად სწავლობენ ემპირიულ და სიტუაციური ანალიზის პრინციპებს. ახდენენ მათ შორის კავშირების გააზრებას და წარმოადგენენ თავის დასკვნებს.

7. **შემთხვევის ანალიზი (Case study**

   სტუდენტები კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხებს. ამ მეთოდის პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის თანამედროვე მეთოდები: პოლიტიკური სიტუაციის მონიტორინგი, პროგნოზირება, სცენარების შედგენა და აპრობილება, სიტუაციის ლოკალიზაციისა და სინქრონიზაციის მეთოდები.

8. **გონებრივი იერიში (Brain storming)**

ეს მეთოდი გულისხმობს მოცემულ დროში აქტიური პრობლემის შერჩევას, რომლის ირგვლივაც მაქსიმალურად გამოითქმის განსხვავებული აზრები; აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებით და რაციონალურ მიდგომას, რომლის შედეგადაც წარმოიშობა ახალი იდეები და კონცეფციები;

9. **როლური და სიტუაციური თამაშები**

სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს, რომელიც მას ეხმარება ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში; როლური და იმიტაციური თამაშები სტუდენტებს უყალიბებს საკუთარ პოზიციას, აძლევს საშუალებას თავისუფლად გამოთქვას დამოუკიდებელი აზრი და პოლიტიკურ სიტუაციებში შეიმუშაოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარკვეული სცენარი;

10. **დემონსტრირება**

ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურ წარმოდგენას გულისხმობს; საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით საჭიროა საკითხების ვიზუალური ფორმით განხილვა, რომელიც გულისხმობს ისეთი კონკრეტული მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა : ბიჰევიორისტული, სტატისტიკური და ხარისხობრივი მიდგომა, ანკეტირება, ინტერვიუ, დაკვირვება, სიტუაციის ლოკალიზაციისა და სინქრონიზაციის მეთოდები.

11. **ახსნა-განმარტებითი**

ეფუძნება მსჯელობას, როდესაც მოცემული საკითხიდან შერჩეული იქნება კონკრეტულ-სიტუაციური მოვლენები და ხდება მისი დაწვრილებითი ანალიზი; საერთაშორისო ურთიერთობებში ასეთი ანალიზისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური სივრცისა და დროის შერჩევას, მოვლენების კონკრეტიზაციას, ემპირიულ-ექსპერტულ შეფასებებს, სიტუაციურ მონიტორინგსა და ბიჰევიორისტულ ანალიზს.

12. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება**

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება. სწავლების მეთოდოლოგიის კონტექსტში, პრაქტიკული მიზნების მიღწევის მიზნით, სავალდებული არჩევითი მაპროფირებელი საგნების მიხედვით ჩამოყალობდა ე.წ. „სამოდულე სწავლების“ მიმართულებები და შესაბამისი საგნები გადანაწილდა ხუთი კონკრეტული მოდულის ფორმატში, რომელთაგან გამოიყოფა შემდეგი მოდულები:

13. **პრაქტიკული მეთოდი**

მისი დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე.

	14. **წიგნზე მუშაობა** შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ხერხები: კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა, ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რეცენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა.